

გაეროს ეროვნული სააგენტოს აჭარის პირველადი მონიტორინგის ობსერვატორიის მონიტორინგის შედეგები

დღეს მოსლოდნელია ცვალებადი მოღრუბულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი - 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 22-27, შიდა მთიან რაიონებში - 20-25, მაღალ მთაში - 12-17 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 20 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 758 მილიმეტრი. მომდევნო 3 დღეს მოსლოდნელია დროგამოშვებით წვიმა ელქვით.

კრიკოსი N იუსი

საქართველოს პრეზიდენტი ვლადიმერ მეგრელი, სიქსტის კაპელაში სამების საკათედრო ტაძრის საპატრიარქო გუნდის კონცერტს დაესწრო, რომელიც პრეზიდენტისა და რომის პაპს შორის გასულ წელს, წმინდა საყდრის ოფიციალური ვიზიტისას მიღწეული შეთანხმების საფუძველზე გაიმართა. «დღეს საქართველოს კულტურისა და ჩვენი ქართული ტრადიციებისათვის ისტორიული დღეა! დღეს სიქსტის კაპელაში ქართული გალობის მოსმენა ის ემოციური მომენტი, რომელიც ჩვენს ისტორიას დარჩება», - განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

სამოქალაქო და აკადემიური წრეების წარმომადგენლები ნატოს გენერალურ მდივანს და ალიანსის წევრი ქვეყნების ლიდერებს წერილობით მიმართავენ. «2022 წლის ნატოს მადრიდის სამიტი უნდა იქცეს გადამწყვეტი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების ფორმატად. ეს კრიტიკულად აუცილებელია რუსეთის აგრესიის შესაკავებლად და როგორც ევროატლანტიკური, ასევე გლობალური უსაფრთხოების დასაცავად. ვთხოვთ, რომ აუცილებელია საქართველოსთვის უსაფრთხოების ახალი გარანტიების მიწოდების, მისი თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისა და 2008 წლის ნატოს ბუქარესტის სამიტზე მიღებული პოლიტიკური დაპირების აღსრულების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება», - აღნიშნულია განცხადებაში.

ტექნიკური მთავრობის შექმნის იდეა დღეს მთლიანად დაკარგა აზრის მიმართულება, რამაც მთლიანობაში არეულობა, ქაოსი, რეგულაციური პროცესების განვითარება უნდა მოიტანოს, - განაცხადა ბარლამენტი პირველმა ვიცე-სპიკერმა ვაგნო გომიჯიამ. მისი თქმით, ამ თემზე ხელისუფლებას პოზიტიური გამოხმაურება არ ექნება. «ვევლიანობის ფორმატი არსებობს იმისთვის, რომ საკითხებზე ვიშროვოთ და საერთო გადაწყვეტილებამდე მივიდეთ. ტექნიკური მთავრობა გამოსავალი არ არის - ეს ჩვენი ქვეყნისთვის ქაოსის გარდა, არაფერს გამოიწვევს», - განაცხადა ვაგნო გომიჯიამ მთავრობის გადადგომის და ტექნიკური მთავრობის ჩამოყალიბების შესახებ ოპოზიციის მოთხოვნაზე საუბრისას.

აშშ-ში საქართველოს ელჩმა დავით ზალკალიანმა აშშ-ის პრეზიდენტს რწმუნებათა სიგელი გადამსცა. მან მადლობა გადაუხადა ჯო ბაიდენს საქართველოს დასავლური მისწრაფებებისადმი მხარდაჭერისთვის. «პრეზიდენტმა ბაიდენმა კიდევ ერთხელ გამოხატა მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ასევე, ქვეყნის დასავლური მისწრაფებებისადმი», - აღნიშნა ზალკალიანმა.

მომავალი ია შველიძე

რესპუბლიკურ ბიუჯეტში ცვლილებები შევიდა

აჭარის უმაღლესმა საბჭომ 27 ივნისის რიგგარეშე სესიაზე, აჭარის 2022 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები 11 ხმით, 6 - ის წინააღმდეგ დაამტკიცა. კანონის პროექტი ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტყარაძემ წარმოადგინა.

პროექტის თანახმად, 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი 28 300 000 ლარით, 6,2 %-ით იზრდება და 482 305 800 ლარით განისაზღვრება.

იზრდება ყველა მხარევი ორგანიზაციის, უწყებისა თუ სამინისტროს დაფინანსება: ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბიუჯეტი ემატება 475 700 ლარი და ჯამში, 28 მილიონ 907 ათას ლარს შეადგენს. 8 499 800 ლარით იზრდება განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბიუჯეტი და 82 მილიონ ლარს აჭარბებს.

20 მილიონზე მეტია სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტი, რომელსაც კანონის პროექტის თანახმად, 829 900 ლარი ემატება.

რაც შეეხება ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, ჯაბა ფუტყარაძის განცხადებით, მისი ბიუჯეტი 120 მილიონს აღემატება. იზრდება მუნიციპალიტეტებზე გადასაცემი ტრანსფერების რაოდენობაც, რაც ჯამში, 163 230 000 ლარია.

ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების, რევი-



ონისთვის მნიშვნელოვანი პროექტებისა და კანონპროექტით გათვალისწინებული სხვა ცვლილებების წარდგენის შემდეგ, მინისტრმა უპასუხა კანონმდებელთა კითხვებს, მოისმინა მათი მოსაზრებები.

11 ხმით მიიღეს უმაღლესი საბჭოს წევრის დავით გაბაიძის მიერ რიგგარეშე სხდომაზე წარ-

მოდგენილი საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონსა და უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილებების პროექტებს მოიცავს.

ანა ჩხიკვაძე

ბსუ-ში HORIZON EUROPE-ის საგრანტო ოფისი გაიხსნა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნუნუ მიცკევიჩი და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა მერაბ ხალვაშმა ბსუ-ში Horizon Europe-ის საგრანტო ოფისი გახსნეს. ოფისის გახსნის ღონისძიებაში აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მათა ხაჩიშვილი მონაწილეობდა.

საგრანტო ოფისის დანიშნულება ქართველ მკვლევართა ჯგუფების დახმარებაა კონკურენტუნარიანი საპროექტო განცხადების მომზადებასა და შემდგომში მის მართვაში, რაც ევროკავშირის საგრანტო კონკურსებში საქართველოს სამეცნიერო სფეროს წარმომადგენელთა წარმატებულ მონაწილეობას შეუწყობს ხელს.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას რექტორმა მერაბ ხალვაშმა პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა. მან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ სამინისტროს ხელშეწყობით უნივერსიტეტში არაერთი სამეცნიერო პროექტი ხორციელდება. მათ შორის, მნიშვნელოვანი პროექტებია: «ცოდნისა და აკადემიური კულტურის გაცვლა ჰუმანიტარულ სფეროში შავი ზღვის რეგიონში, XVIII-XXI საუკუნეების ბოლოს» და «კოფრული ინოვაციების დანერგვა სკოლებში რეგიონული ინოვაციური ჰაბებისა და მენტორინგის მოდელის საშუალებით».

ნუნუ მიცკევიჩმა სიტყვით გამოსვლისას უნივერსიტეტის თანამშრომლებსა და მეცნიერებს საგრანტო ოფისის გახსნა მიულოცა და მათ მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა.



Horizon Europe-ის პროგრამის კონკურსებში საქართველოს წარმომადგენლები ისარგებლებენ ისეთივე პირობებითა და უფლებებით, როგორც ევროკავშირის ქვეყნების სამეცნიერო და ინოვაციების სფეროს წარმომადგენლები სარგებლობენ.

2021 წელს საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო ჩართულობით, საქართველო ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ახალი ჩარჩო პროგრამის, Horizon Europe-ის წევრი გახდა. ასოცირების საერთაშორისო შეთანხმებას ბრიუსელში ხელი მოაწერეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენ-

კელმა და ინოვაციის, კვლევის, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდობის საკითხებში ევროკომისარმა მარია გაბრიელმა. სწორედ აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე დაფუძნდა საქართველოში Horizon Europe-ის ეროვნული ოფისი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, მთელი ქვეყნის მასშტაბით, Horizon Europe-ის საგრანტო ოფისების დაფუძნება აქტიურად მიმდინარეობს.

ია შველიძე

გამორჩეული გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენითვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.



